აბაშის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს პირველი

სხდომის ოქმი №1

აბაშა, 2021 წლის 3 დეკემბერი

ოქმი №1

აბაშის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომის

აბაშა, 2021 წლის 3 დეკემბერი

აბაშის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გახსნა №63 აბაშის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ქოიავამ. მან აბაშის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომის მონაწილეებს გააცნო 2021 წლის 2 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შედეგები. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 25-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს უხუცესი წევრი მერაბი მელია.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს პირველ სხდომას ესწრებოდნენ : ლევან მაკალათია, გელა ხოშტარია, ნანა შენგელია, კონსტანტინე კუჭუხიძე, როინი კაჭარავა, დარეჯან ვადაჭკორია, ზეზვა მაკალათია, ტატიანა ხოშტარია, დავით ცანავა, დიმიტრი ვერულაშვილი, დავით გუნია, ბაქარი შელია, ზაზა ალასანია, მურთაზ ჯალაღონია, იაგო თოდუა, გია კუცია, გია მიგინეიშვილი, დავით კაჭარავა, კოხტა მელია, ქეთევან ლობჟანიძე, მერაბ მელია, ფიქრია გვაზავა, კობა ნოდია, გენო მიმინოშვილი, კახა ცანავა, გელა ლაბარტყავა, ტატო ედიშერაშვილი, ბაჩუკი ქვილითაია და კოკი ჩაჩავა.

სხდომას ესწრებოდნენ: აბაშის მუნიციპალიტეტის მერი გ. გაბელაია, მერის პირველი მოადგილე ი. პერტენავა და მოადგილე გ. ჯვარელია.

საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- საკრებულოს აპარატის უფროსი გ. ხურცილავა და საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი :

1. № 63 აბაშის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯომარის მოხსენება;
   მომხს. №63 აბაშის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გ. ქოიავა

2.აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ;
   მომხს. უხუცესი წევრი მ.მელია

3. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ;
   მომხს. უხუცესი წევრი მ.მელია

4. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ;
   მომხს. უხუცესი წევრი მ.მელია

5. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ;
   მომხს. უხუცესი წევრი მ.მელია

6. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშებისა და საარჩევნო პროცედურების დამტკიცების შესახებ;
   მომხს. უხუცესი წევრი მ.მელია

7. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

მომხს. უხუცესი წევრი მ.მელია

8. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს. ლ.მაკალათია

9. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს. ლ.მაკალათია

10. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ;

მომხს. ლ.მაკალათია

11.აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

მომხს. ლ.მაკალათია

12. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

მომხს. ლ.მაკალათია

13. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ;

მომხს. ლ.მაკალათია

14. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;

მომხს. ლ.მაკალათია

15. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;

მომხს. ლ.მაკალათია

16. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;

მომხს. ლ.მაკალათია

17. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;

მომხს. ლ.მაკალათია

18.აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;

მომხს. ლ.მაკალათია

19. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

მომხს. ლ.მაკალათია

20. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

მომხს. ლ.მაკალათია

21. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

მომხს. ლ.მაკალათია

22. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

მომხს. ლ.მაკალათია

23. .აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხს. ლ.მაკალათია

კენჭი ეყარა დღის წესრიგს.
მომხრე 29
წინააღმდეგი 0

1.

მოისმინეს :

№63 აბაშის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ქოიავამ გააკეთა მოხსენება 2021 წლის 2 ოქტომბერს აბაშის მუნიციპალიტეტში ჩატარებული წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს არჩევნების შედეგების შესახებ.

2.

მოისმინეს :

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ.

მომხს: მ. მელია

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის წესი. სხდომაზე ღია კენჭისყრით არჩეულ იქნა ხმის დამთვლელი დროებითი კომისია სამი წევრის: როინ კაჭარავას, ზაზა ალასანიას

და დავით ცანავას შემადგენლობით. ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დავით ცანავა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 18-მა წევრმა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №58 (თან ერთვის)

3.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ.

მომხს: მ.მელია

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის წესი. სხდომაზე ღია კენჭისყრით არჩეულ იქნა სამანდატო დროებითი კომისია სამი წევრის : ტატიანა ხოშტარიას, კონსტანტინე კუჭუხიძის და ბაქარი შელიას შემადგენლობით. საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ტატიანა ხოშტარია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 18-მა წევრმა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება № 59 (თან ერთვის)

4.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხს: მ.მელია

№63 აბაშის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებით სამანდატო კომისიას გადასცა 2021 წლის 2 ოქტომბერს ჩატარებული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს- საკრებულოს არჩევნების შემაჯამებელი ოქმები.

სხდომაზე გამოცხადდა ოც წუთიანი შესვენება. სამანდატო დროებითმა კომისიამ №63 აბაშის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გადაცემულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით განიხილა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის საკითხი და სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე ცნობილ იქნა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ლევან მაკალათიას, გელა ხოშტარიას, ნანა

შენგელიას, კონსტანტინე კუჭუხიძის, როინი კაჭარავას, დარეჯან ვადაჭკორიას, ზეზვა მაკალათიას, ტატიანა ხოშტარიას, დავით ცანავას, დიმიტრი ვერულაშვილის, დავით გუნიას, ბაქარი შელიას, ზაზა ალასანიას, მურთაზ ჯალაღონიას, იაგო თოდუას, გია კუციას, გია მიგინეიშვილის, კახა ცანავას, დავით კაჭარავას, კოხტა მელიას, ქეთევან ლობჟანიძის, მერაბ მელიას, ფიქრია გვაზავას, კობა ნოდიას, გენო მიმინოშვილის, გელა ლაბარტყავას, ტატო ედიშერაშვილის, ბაჩუკი ქვილითაიას და კოკი ჩაჩავას უფლებამოსილება.

სხდომაზე სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარე ტ. ხოშტარიამ განმარტა, რომ ზურაბ შუბლაძე გარდაცვლილია. სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე, გარდაცვალების გამო, საკრებულოს მიერ არ იქნა ცნობილი ზურაბ შუბლაძის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე კენჭი ეყარა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობას.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 29 წევრმა.
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №60 (თან ერთვის)

საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შემდეგ საკრებულოს წევრებმა დავით კაჭარავამ, კოხტა მელიამ, ფიქრია გვაზავამ, გენო მიმინოშვილმა, ქეთევან ლობჟანიძემ, კახა ცანავამ, კობა ნოდიამ, გელა ლაბარტყავამ, ბაჩუკი ქვილითაიამ და ტატო ედიშერაშვილმა დატოვეს საკრებულოს სხდომა.

5.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხს: მ. მელია

მომხსენებელმა მ. მელიამ საკრებულოს სხდომის მონაწილეებს მოახსენა, რომ ცნობილია საკრებულოს 29 დეპუტატის უფლებამოსილება. შესაბამისად ცნობილი უნდა იქნეს აბაშის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილება.
კენჭი ეყარა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობას.
განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 18-მა წევრმა.
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №61 (თან ერთვის)

6.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშებისა და საარჩევნო პროცედურების დამტკიცების შესახებ.

მომხს: მ. მელია

მომხსენებელმა მ. მელიამ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშებისა და საარჩევნო პროცედურების დამტკიცების შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშებისა და საარჩევნო პროცედურების დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 18-მა წევრმა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №62

7.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხს: მ.მელია

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე მ. მელიამ საკრებულოს წევრებს გააცნო, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 33-ე მუხლის შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის წესი, რომლის მიხედვითაც, საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის საკრებულოს არანაკლებ 3 წევრს. საკრებულოს წევრებმა ტატიანა ხოშტარიამ, ნანა შენგელიამ, დარეჯან ვადაჭკორიამ, გელა ხოშტარიამ და დავით გუნიამ დაასახელეს საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატად საკრებულოს წევრი ლევან მაკალათია.

საკრებულოს წევრმა ლევან მაკალათიამ თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.

საკრებულომ ფარული კენჭისყრით კენჭი უყარა ლევან მაკალათიას კანდიდატურას.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის ოქმი აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 18-მა წევრმა. საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატ ლევან მაკალათიას ხმა მისცა საკრებულოს 18-მა წევრმა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი.
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №63 (თან ერთვის)

საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შემდეგ საკრებულოს უხუცესმა წევრმა მერაბ მელიამ დატოვა საკრებულოს სხდომა.

8.

მოისმინეს:

,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს. ლ. მაკალათია

მომხსენებელმა ლ. მაკალათიამ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
დადგენილების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 18-მა წევრმა.
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

დადგენილება №10

9.

მოისმინეს:

,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. ლ.მაკალათია

მომხსენებელმა ლ. მაკალათიამ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და

საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დადგენილების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 18-მა წევრმა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

დადგენილება №11

10.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ.

მომხს: ლ. მაკალათია

საკრებულოს თავმჯდომარე ლ.მაკალათიამ საკრებულოს წევრებს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე წარუდგინა საკრებულოს წევრის გელა ხოშტარიას კანდიდატურა.

საკრებულომ ფარული კენჭისყრით კენჭი უყარა გელა ხოშტარიას კანდიდატურას.

საკრებულოს თავმჯდომარე ლ. მაკალათიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის ოქმი აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის გელა ხოშტარიას კანდიდატურის ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევნების ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 18-მა წევრმა. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კანდიდატ გელა ხოშტარიას ხმა მისცა საკრებულოს 18-მა წევრმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №64

11.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

მომხს: ლ. მაკალათია

საკრებულოს თავმჯდომარე ლ. მაკალათიამ საკრებულოს წევრებს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარუდგინა საკრებულოს წევრის ზეზვა მაკალათიას კანდიდატურა.

საკრებულომ ფარული კენჭისყრით კენჭი უყარა ზეზვა მაკალათიას კანდიდატურას.

საკრებულოს თავმჯდომარე ლ. მაკალათიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის ოქმი აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ზეზვა მაკალათიას კანდიდატურის ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ზეზვა მაკალათიას არჩევნების ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 18-მა წევრმა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატ ზეზვა მაკალათიას ხმა მისცა საკრებულოს 18-მა წევრმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №65

12.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

მომხს: ლ. მაკალათია

საკრებულოს თავმჯდომარე ლ.მაკალათიამ საკრებულოს წევრებს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარუდგინა საკრებულოს წევრის დავით გუნიას კანდიდატურა.

საკრებულომ ფარული კენჭისყრით კენჭი უყარა დავით გუნიას კანდიდატურას.

საკრებულოს თავმჯდომარე ლ.მაკალათიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის ოქმი აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის დავით გუნიას კანდიდატურის ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის დავით გუნიას არჩევნების ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 18-მა წევრმა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატ დავით გუნიას ხმა მისცა საკრებულოს 18-მა წევრმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №66

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა გაგრძელდა 17:45 სთ-ზე.

ცვლილება იქნა შეტანილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში. დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-12 საკითხის შემდეგ დღის წესრიგს დაემატა საკითხები:

1. ფრაქცია ,, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ.

   მომხს: ლ.მაკალათია
2. ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ.

   მომხს:ლ.მაკალათია

   კენჭი ეყარა დღის წესრიგში ცვლილების შეტანას. დღის წესრიგში ცვლილების შეტანას მხარი დაუჭირა საკრებულოს 18-მა წევრმა. წინააღმდეგი 0.

13.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს: ლ.მაკალათია

მომხსენებელმა ლ. მაკალათიამ სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე სხდომის მონაწილეებს აცნობა, რომ დაფუძნდა ფრაქცია ,, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.

საკრებულოს მიერ ცნობად იქნა მიღებული კენჭისყრის გარეშე ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დაფუძნება.

14.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს: ლ.მაკალათია

მომხსენებელმა ლ. მაკალათიამ სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე სხდომის მონაწილეებს აცნობა, რომ დაფუძნდა ფრაქცია ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

საკრებულოს მიერ ცნობად იქნა მიღებული კენჭისყრის გარეშე ფრაქცია ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნება.

სხდომა გადაიდო.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე ლ. მაკალათია.